საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2736 2019 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანიზე“ გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^1 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, შეიტანოს ცვლილება შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანიზე“ (კუროსაოს სამეწარმეო რეესტრი, სარეგისტრაციო №70172, წარმომადგენლობა საქართველოში ს/ნ: 204 870 844) გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10000368 ლიცენზიაში და მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის ოდენობას დაემატოს B სამრეწველო კატეგორიაში დამტკიცებული მარაგი – 34 $м^3$ დღე-ღამეში (რაც შეადგენს წელიწადში 12 410 კუბურ მეტრს, ხოლო ნაკიან წლებში – 12 444 კუბურ მეტრს წელიწადში) და, შესაბამისად, საბადოზე მინერალური

წყლის მოსაპოვებელი ოდენობა განსაზღვროს წელიწადში 307 184 კუბური მეტრის, ხოლო ნაკიან წლებში – წელიწადში 308 025,6 კუბური მეტრის მოცულობით.

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის გაზრდილ ოდენობაზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს 2 227 127 (ორი მილიონ ორას ოცდაშვიდი ათას ას ოცდაშვიდი) ლარი, ლიცენზიაში ცვლილების შეტანიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**